

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის საკითხთა სამსახური.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოციალური და ჯანდაცვის საკითხთა სამსახურის 2018 წლის ბიუჯეტი განსაზღვრული იყო 1 585 000 ლარით;

სამსახურმა 2018 წელს განახორციელა- ქვემოთ ჩამოთვლილი 19 სახის პროგრამა.

1. მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა.
2. დედ-მამით ობოლი 18 წლამდე ასაკის ბავშვთა ერთჯერადი დახმარების პროგრამა.
3. მოქალაქეთა სამედიცინო დახმარების პროგრამა.
4. „C“ ჰეპატიტით დაავადებულ პირებში მკურნალობის ტაქტიკის განსაზღვრისათვის საჭირო კვლევების დაფინანსების პროგრამა.
5. თირკმლის უკმარისობით დაავადებულ პირთა დახმარების პროგრამა.
6. ლეიკემიით და ონკოლოგიური დაავადების მქონე პირთა დახმარების პროგრამა.
7. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დახმარების პროგრამა
8. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების პროგრამა.
9. სარიტუალო დახმარების პროგრამა. (ომის ვეტერანები და უპატრონო მიცვალებულების დახმარება)
10. სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დახმარებისა და უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების ბინის ქირით უზრუნველყოფის პროგრამა
11. ძვირადღირებული კვლევის (კომპიუტერული ტომოგრაფია) ერთჯერადი დაფინანსების პროგრამა.
12. სოციალურად შეჭირვებულ ოჯახებში ახალშობილის (0-დან ერთ წლამდე) მოვლისათვის საჭირო საგნებისა და საკვების შეძენისთვის ყოველთვიური დახმარების პროგრამა.
13. სხვა ფულადი გასაცემლის პროგრამა.
14. დღის ცენტრის დაფინანსების პროგრამა („მომავლის სხივი“)
15. მცირე ტიპის ბავშვთა სახლის თანადაფინანსების პროგრამა.
16. გენდერულ საკითხებთან დაკავშირებული პროექტების ხელშეწყობის პროგრამა.

17. მზრუნველობამოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა.
18. ხანდაზმულთა სახლისთვის კომუნალური გადასახადებით უზრუნველყოფის პროგრამა.
19. სოციალური ღონისძიებების პროგრამა.

1. მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა.

პროგრამის მიზანი: მრავალშვილიან ოჯახთა ფინანსური დახმარება. ყოველთვიური დახმარება გაეწია სოციალურად დაუცველ 148 მრავალშვილიან ოჯახს.

შეფასების ინდიკატორი: ფინანსურად უზრუნველყოფილი 148 მრავალშვილიანი ოჯახი.

პროგრამის ბიუჯეტი: 153.400 ლარი. გაცემული თანხა შეადგენს 153 300 ლარს. ოჯახების რაოდენობა 148.

2. დედ-მამით ობოლი 18 წლამდე ასაკის ბავშვთა ერთჯერადი დახმარების პროგრამა.

პროგრამის მიზანი: უდედმამო ობოლი ბავშვების მატერიალური დახმარება 400 ლარის ოდენობით, წელიწადში 2-ჯერ.

შეფასების ინდიკატორი: 8 ობოლი ბავშვის სოციალური და მორალური მხარდაჭერა.

ბიუჯეტი 6 000 ლარი. ბენეფიციარების რაოდენობა - 7. გაცემული თანხა 4 000 ლარი.

3. მოქალაქეთა სამედიცინო დახმარების პროგრამა.

ბიუჯეტი 303 000 ლარი. გაცემული თანხა 264.100 ლარი. მოსარგებლეთა რაოდენობა - 1 667.

4. „C“ ჰეპატიტით დაავადებულ პირებში მკურნალობის ტაქტიკის განსაზღვრისათვის საჭირო კვლევების დაფინანსების პროგრამა.

პროგრამის ბიუჯეტი 99.600 ლარი, გაცემული თანხა 99.400 ლარი. ბენეფიციართა რაოდენობა - 665.

5. თირკმლის უკმარისობით დაავადებულ პირთა დახმარების პროგრამა.

პროგრამა ითვალისწინებს თირკმლის უკმარისობით დაავადებულ პირთა დახმარებას, რომლებიც ჩართული არიან დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში. დახმარება გაიცა ყოველკვარტალურად 150 ლარის ოდენობით.

შეფასების ინდიკატორი: სატრანსპორტო ხარჯით უზრუნველყოფილი -45 პირი.

პროგრამის ბიუჯეტი 28 000 ლარი. გაცემული თანხა 26.300 ლარი. ბენეფიციართა რაოდენობა 45.

6. ლეიკემიით და ონკოლოგიური დაავადების მქონე პირთა დახმარების პროგრამა.

ბიუჯეტი 160 000 ლარი. გაცემული თანხა 135.300 ლარი. ბენეფიციართა რაოდენობა- 1038.

7. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დახმარების პროგრამა (დღის ცენტრის თანადაფინანსება)

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოქალაქეებს (უსინათლოები) ერთჯერადად გაეწიათ დახმარება 150 ლარის ოდენობით, სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით. მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს- 100 ლარის ოდენობით.

ბიუჯეტი 139 900 ლარი. გაცემული თანხა 125 200 ლარი. ბენეფიციართა რაოდენობა 424 (პირველი ჯგუფის შშმ პირთა კომუნალური და მხედველობითი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის)

8. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების პროგრამა.

პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 13 000 ლარს, გაცემული თანხა 13.200 ლარს. ბენეფიციართა რაოდენობა 66-ს.

პროგრამის მიზანია: დევნილთა ოჯახების ერთჯერადი მატერიალური დახმარება სათბობით უზრუნველყოფის მიზნით.

შეფასების ინდიკატორი: სულ წლის განმავლობაში სათბობით უზრუნველყოფილი- 66 ოჯახი.

9. სარიტუალო დახმარების პროგრამა. (ომის ვეტერანები და უპატრონო მიცვალებულების დახმარება) ბიუჯეტი 10 000 ლარი, გაცემული თანხა 9.000 ლარი, ბენეფიციართა რაოდენობა-7.

შეფასების ინდიკატორი:ფინანსურად მხარდაჭერილი 7 გარდაცვლილის ოჯახი.

10. სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დახმარებისა და უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების ბინის ქირით უზრუნველყოფის პროგრამა: ბიუჯეტი 255 500 ლარი, გაცემული თანხა 192.700 ლარი. maT Soris ბინის ქირით მოსარგებლე- 66 ოჯახი, sul qiris uzrunvelyofisTvis daixarja -88.554.73 lari. სამშენებლო მასალებით დახმარების მიმღებთა რაოდენობა 26.

11. ძვირადღირებული კვლევის (კომპიუტერული ტომოგრაფია) ერთჯერადი დაფინანსების პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი 14 000 ლარი. გაცემული თანხა 2200. მოსარგებლეთა რაოდენობა- 31

12. სოციალურად შეჭირვებულ ოჯახებში ახალშობილის (0-დან ერთ წლამდე) მოვლისათვის საჭირო საგნებისა და საკვების შეძენისთვის ყოველთვიური დახმარების პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი 20 900 ლარი. გაცემული თანხა 13.700, ბენეფიციართა რაოდენობა- 37.

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ოჯახების დახმარებას, რომელთა სარეიტინგო ქულაა- 0-დან 70.000 ჩათვლით, ბავშვის 1 წლის ასაკის შესრულებამდე, ბავშვის მოვლის და საკვების შესაძენად ფარმაცევტული დაწესებულებიდან.

13. სხვა ფულადი გასაცემლის პროგრამა.

პროგრამის ბიუჯეტი 50 000 ლარი. გაცემული თანხა 45.400 ლარი. ბენეფიციართა რაოდენობა-102

14. დღის ცენტრის დაფინანსების პროგრამა („მომავლის სხივი“)

შედეგი: პროგრამით დაფინანსდა 6-18 წლამდე 25 ბავშვი (ერთი ბენეფიციარი თვეში 150 ლარის ოდენობით), „მომავლის სხივი“ს დღის ცენტრის მომსახურებით.

ბიუჯეტი 47 800 ლარი. გაცემული თანხა 47.800 ლარი. ბენეფიციართა რაოდენობა 25.

15. მცირე ტიპის ბავშვთა სახლის თანადაფინანსების პროგრამა.

შეფასების ინდიკატორი: თანადაფინანსებით მოხდა საოჯახო ტიპის სახლის კომუნალური ხარჯების დაფარვა.

საბოლოო შედეგი: ხელსაყრელი პირობები შეექმნა დღის ცენტრში მცხოვრებ ბავშვებს.

ბიუჯეტი 9 000 ლარი. გაცემული თანხა 8 800 ლარი. მოსარგებლეთა რაოდენობა 6.

16. გენდერულ საკითხებთან დაკავშირებული პროექტების ხელშეწყობის პროგრამა.

ბიუჯეტი 14 000 ლარი. გაცემული თანხა 7 800

17. მზრუნველობამოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა.

პროგრამის მიზანი: მძიმე სოციალური პირობებში მყოფი ოჯახების უფასო კვებით უზრუნველყოფა.

ბიუჯეტი 120.600 ლარი. გაცემული თანხა 120.600 ბენეფიციართა რაოდენობა 170.

18. ხანდაზმულთა სახლისთვის კომუნალური გადასახადებით უზრუნველყოფის პროგრამა.

პროგრამის ბიუჯეტი 13 100 ლარი. გაცემული თანხა 13 100 ლარი. ბენეფიციართა რაოდენობა 52

19. სოციალური ღონისძიებების პროგრამა.

პროგრამის ბიუჯეტი 42 000 ლარი. გაცემული თანხა 28 200 ლარი.

აღნიშნული პროგრამებით ისარგებლა 5 000-ზე მეტმა ბენეფიციარმა.

ტრადიციულ ღონისძიებებთან დაკავშირებით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ მოქალაქეებს (მრავალშვილიან ოჯახები-3 მარტი-დედის დღე ,ხანდაზმულები, იძულებით გადაადგილებულ პირები, ვეტერანები, ომში დაღუპულთა ოჯახები, „მომავლის სხივის „ დაქვემდებარებაში მყოფ ბენეფიციარებს, უფასო სასადილოს მოსარგებლე ბენეფიციარებს,) გაეწიათ სურსათით და სხვა სახით დახმარება.

ჩეხური პროექტის „საქართველოს კარიტასის“ შინმოვლის პროგრამით დახარჯულია 95 000 ლარი, მინიციპალიტეტის მერიის თანაგადახდა შეადგენს 6 000 ლარს. პროგრამით სარგებლობს 45 ბენეფიციარი.

საბოლოო შედეგი: ფინანსურად და მორალურად მხარდეჭერილი ბენეფიციარები.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხების შემსწავლელი სათათბირო საბჭო, რომელიც შშმ პირთა ღირსეული თანაცხოვრებისა და თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფისათვის, აუცილებელი პირობების შექმნის საკითხებს შეისწავლის.